აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 62

25 სექტემბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკში ცვლილების შეტანის შესახებ

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 05 სექტემბრის № 32 განკარგულებით დამტკიცებულ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკში შეტანილი იქნას შემდეგი სახის ცვლილება:

ა) გრაფაში არაუგვიანეს მე-3 დღისა (31 ოქტომბერი, პარასკევი), მე-4 სვეტში დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5. უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატს, პარტიას/ბლოკს, უფლება აქვთ უარი თქვან არჩევნებში მონაწილეობაზე ან წარდგენილ კანდიდატზე, რისთვისაც განცხადებით უნდა მიმართონ უმაღლეს საარჩევნო კომისიას. (აჭარის ა.რ. კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 53, პუნქტი პირველი)“;

ბ) გრაფაში არაუგვიანეს მე-2 დღისა (1 ნოემბერი, შაბათი), მე-4 სვეტის მე-9 პუნქტი ამოღებული იქნეს.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ა. მიქელაძე

კომისიის მდივანი ქ. ჯიქია